ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

ისტორია

II ტური

X-XII კლასები

2023-2024 სასწავლო წელი

<u>ინსტრუქცია დავალებებისთვის 1-3:</u> *ერთმანეთს შეუსაბამეთ ორ სვეტში მოცემული ინფორმაცია. თითოეული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 4 ქულა.*

1. **დაადგინეთ შესაბამისობა ქალაქსა და მის ღირშესანიშნაობას შორის:**

A		1	მილანი
B		2	კორდობა
C		3	ლისაბონი

D		4	პარიზი
		5	ფლორენცია
		6	ათენი

2. **დაადგინეთ შესაბამისობა პორტრეტსა და ისტორიულ პირს შორის:**

	პორტრეტი		ისტორიული პირი
A		1	ბენჟამინ ფრანკლინი

B		2	მარკიზ დე ლაფაიეტი
C		3	ვოლტერი
D		4	დენი დიდრო
		5	ჯორჯ ვაშინგტონი
		6	შარლ ლუი დე მონტესკიე

3. **დაადგინეთ შესაბამისობა ისტორიულ რომანსა და მის ავტორს შორის:**

	ისტორიული რომანი		**ავტორი**
A	რკინის მეფე	1	შტეფან ცვაიგი
B	ორი ქალაქის ამბავი	2	უოლტერ სკოტი
C	„ვიდრე ჰხვალ!“	3	ჩარლზ დიკენსი
D	მარია სტიუარტი	4	ჰენრიკ სენკევიჩი
		5	ალექსანდრე დიუმა
		6	მორის დრიუონი

<u>ინსტრუქცია დავალებისთვის 4:</u> *ყურადღებით დააკვირდით ილუსტრაციას და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა.*



კითხვები:

4.1. დაასახელეთ ილუსტრაციაზე მოცემული ნამუშევრის ავტორის ვინაობა. ვისი დაკვეთით შეასრულა მან ეს ტილო?

4.2. დაასახელეთ ილუსტრაციაზე დატანილი მე-14-ე და მე-15-ე ნომრებით აღნიშნული პიროვნებების ვინაობა. რა აკავშირებდათ მათ ერთმანეთთან?

4.3. რომელ მუზეუმში ინახება მოცემული ტილო?

<u>ინსტრუქცია დავალებისთვის 5:</u> თქვენს წინაშეა დავალების პირობა, რომელსაც გულდასმით უნდა გაეცნოთ და შემოთავაზებული კითხვების მიხედვით ჩამოაყალიბოთ თქვენი მოსაზრებები და არგუმენტები ქვემოთ წარმოდგენილ თემაზე.

- ***ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული.***
- ***ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული დავალება მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.***

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა.

5. 732 წელს გაიმართა დასავლეთ ევროპის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი პუატიეს ბრძოლა.

კითხვები:

5.1. დაასახელეთ ამ ბრძოლის მონაწილე ორივე მხარე?

5.2. ვისთვის იყო ამ ბრძოლის შედეგი დადებითი შედეგის მომტანი, გარდა უშუალოდ გამარჯვებული მხარისა, და რაში გამოიხატებოდა ეს შედეგი?

5.3. დაასახელეთ ანალოგიური მოვლენა V საუკუნის ევროპაში. მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასადასტურებლად.

<u>ინსტრუქცია დავალებისთვის 6:</u> *ყურადღებით წაიკითხეთ ისტორიული დოკუმენტი და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 8 ქულა.*

რომის პაპის წერილი ქართველი მეფისადმი

ქართველთა ბრწყინვალე მეფეს კონსტანტინეს მშვიდობა და სამოციქულო კურთხევა.

შენი მოძღვრისა და ელჩის, ბერი ნილისგან მივიღეთ შენი წერილი.

ჩვენ რამდენადაც შეგვიძლია, გთხოვთ და უფლის სახელით გლოცავთ, რათა შენ არ შეიცვალო შენი ეგ საქებარი განზრახვა, დაარწმუნო და უბრძანო შენს ქვეშევრდომებს, მიჰყვნენ შენს ნებას და ამ წმინდა საქმეში მაგალითიც შენგან აიღონ.

ამასთანავე, რამდენადაც შენ იმავე ნილის საშუალებით გვთხოვ, გამოგიგზავნოთ სარწმუნოებრივი გადაწყვეტილება, რომელიც ჩამოყალიბებულია ფლორენციის კრებაზე, სადაც ჩვენი წინამორბედის დროს მოხდა სამყაროს ეკლესიათა შეთანხმება, როგორც ბერძნულის, ისე ლათინურის. ამიტომ, ჩვენ ახლა გიგზავნით კრების დადგენილებას. ვთავაზობთ შენს თავდადებულობას, უბრძანოს, რათა: გაავრცელონ და მიიღონ კრების გადაწყვეტილება შენი ქვეყნის ყველა პროვინციაში. მაშინ ჩვენ ყველა ვიქნებით ერთიანნი და ახლობელნი. თუ ჩვენ ასე მოვიქცევით, მაშინ ვერცერთი მტრული იარაღი ზიანს ვერ მოგვაყენებს.

დიდად მადლობელი ვარ შენი საჩუქრებისათვის, რაც ხალისით მივიღე. შედგენილია რომში წმინდა პეტრეს საყდარში.

კითხვები:

6.1. თქვენი აზრით, წერილის შინაარსის გათვალისწინებით, რა იგულისხმება რომის პაპის მიერ ნახსენებ „წმინდა საქმეში“?

6.2. თქვენი აზრით, რომელი ეკლესია იგულისხმება „ბერძნულის“ ქვეშ?

6.3. თქვენი აზრით, რომელი ეკლესია იგულისხმება „ლათინურის“ ქვეშ?

6.4. წერილის ტექსტის მიხედვით, დაუჭირეს თუ არა ქართველებმა მხარი ფერარა-ფლორენციის კრებაზე „სამყაროს ეკლესიათა შეთანხმებას“? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი წერილის ტექსტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

6.5. წერილის ტექსტის მიხედვით, მეფის წერილის გარდა, კიდევ რა ჩაუტანა ბერმა ნილმა პაპს?

6.6. თქვენ რომ კონსტანტინე მეფის თანამედროვე ყოფილიყავით, დაუჭერდით თუ არა მხარს რომის პაპთან ურთიერთობას და რა არგუმენტს მოიტანდით საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად?

6.7. რომელი სამეფოს მეფე იყო წერილში მოხსენიებული კონსტანტინე?

6.8. დაასახელეთ კონსტანტინეს წინამორბედი ქართველი მონარქი, რომელსაც ასევე გამოუგზავნა წერილი რომის პაპმა და გაიხსენეთ, რას შეეხებოდა ეს წერილი?